№ 168
შაბათი, 6 აგვისტო 1894

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 0 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 168
შაბათი, 6 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 აგვისტოს**

„ივერია"
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

## ტფილისი, 6 აგვისტო

მთელის დასავლეთ საქართველოსთვის, სადაც მილიონზე მეტი ქართველი ხალხი ითვლება, მთავრობას დაუნახავს საჭიროდ დაენიშნა ცხრა საპატიო მომრიგებელი მსაჯული, რომელთა შორის რვა რუსის ტომისა არის და ერთიც ქართველისა.

ყველა ახლად დანიშნულნი სასჯულო უწყების მოხელენი ქალაქის მცხოვრებნი არიან და ცხადია, ამათ მიერ განჩენილ სამართლით შეუძლიან ისარგებლოს ისევ ქალაქში მობინადრე ხალხმა, რომელსაც სხვა საშუალებაც მოეპოვება დავისა და უსიამოვნების გადასაწყვეტად.

მაგრამ იქ, სადაც საპატიო მომრიგებელი მსაჯული უფრო საჭირო იყო, იქ, სადაც ათასი და ათას ორასი სული მცხოვრები არის, როგორც, მაგალითად, ს. გულამს, საჭილაოს, საჩინოს და ბევრგან სხვაგან,—ეს ადგილები დარჩნენ ძველებურს წესზედ და იძულებულნი არიან თითოეულ მცირე საქმისა გამო მიაშურონ ზამთრიან დღეში, თოვლსა და ავდარში: ხონს, სენაკს, ბაღდადს, სადაც მომრიგებელ სასამართლოებია და რომელთ შორისაც ზოგი 7—8 საათის სავლელ მანძილზედ მდებარეობს.

ვისაც ჩვენებურს სოფლებში უმოგზაურია ზამთრობით, როდესაც ხანდახან თითო ვერსის გავლას ნახევარი საათი უნდა ცუდის გზების გამო, ის კარგად მიხვდება, რომ სოფლების დავიწყება, როდესაც საპატიო მომრიგებელ მსაჯულებს ჰნიშნავდენ, დიდი დასაკლისია სოფლის ხალხისათვის.

რუსეთსა და ევროპაში, სადაც სასჯულო უწყების მოხელე ხალხისაგან არის არჩეული კენჭის ყრით, საპატიო მსაჯულები ქალაქის მცხოვრებთაგანაც არის ამორჩეული და სოფელში მობინადრეთაგანაც. ამიტომ იქ სამართლის შოვნა იმის მეასედადაც არ არის ძნელი, როგორც ჩვენში, სადაც ორჯელ სამჯერ ოცი, ოცმოცი ვერსი უნდა გაიაროთ, რომ ერთი პატარა საქმე გააკეთოთ.

საკვირველია, როდესაც განზრახვა დაიბადა იმისა, რომ მომრიგებელი მსაჯულები უნდა დაენიშნათ ჩვენს ქვეყანაში, რად გაახსენდათ მხოლოდ ქალაქებში მცხოვრები ხალხი და სოფელი-კი სრულიად უგულებელ ჰყვეს?

მაგრამ იქნება ჩვენს სოფლებში არ მოიძებნებიან ისეთნი საკმაოდ განვითარებულნი და რუსულის ენის მცოდნე კაცნი, რომ იმათთვის მიენდოთ ხარისხი საპატიო მომრიგებელ მსაჯულისა?

რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, უნდა ვსთქვათ, რომ არც ეს მოსაზრება არის საფუძვლიანი, რადგანაც დღეს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთშიაც მრავალი ღირსეული და სანდო კაცი მოიძებნება, რომელთაც, საპატიო მომრიგელ-მსაჯულება-კი არა, უფრო რთული და დიდის პასუხის საგებელი საქმე მიენდობა.

მაგრამ არა გვგონია, რომ რომელსამე ზემო აღნიშნულს მიზეზს დაემალოს მთავრობისთვის საპატიო მომრიგებელი მსაჯული დაენიშნა სოფლებშიც. მთავრობას, როგორც ადვილად წარმოსადგენია, მრავლისაგან უმრავლესი საქმე აქვს და თითოეულს გარემოებას, რომელსაც არსებითი საჭიროება აქვს ხოლმე ხალხისთვის, შესაძლებელია ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციოს.

ამიტომ ამ გვარს შემთხვევაში მთავრობას უნდა მიეშველნენ ჩვენის ინტერესების დამცველნი და თითოეული ნაკლულევანება საზოგადო განკარგულებისა გამოიკვლიონ, შეიმუშავონ და თვალ-საჩინოდ მარტივად წარუდგინონ მთავრობას.

მაშინ იმედია ასეთს საფუძველზედ აგებულს მეცადინეობას მთავრობა ყურადღებით მოეპყრობა და განონიერს მოთხოვნილებას ქვეყნისას დააკმაყოფილებს.

ჯერ კარგი იქნებოდა, რომ იმ საქმის გამოსწორებას შეუდგებოდენ, რომლის შესახებაც საუბარი გვაქვს, და შემდეგ თვით გარემოება გამოაჩენს, კიდევ რას უნდა მიაქციონ თავისი უმთავრესი ყურადღება ჩვენმა მოწინავე კაცებმა.

მეველე

## დეპეშა

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს პეტერგოფიდგან კრასნოე სელოში გადავიდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდ-ბრიტანიის პრინცესანი, საბერძნეთის დედოფალი და დანიის პრინცი.

უმაღლესად ნება-დართულია, რომ რუსეთის საზღვრებში შემოტანილ იქმნას სპარსეთის ვერცხლის ფული, კრონი.

რათა უფრო კარგად იქმნას შესწავლილ-გაცნობილი უცხო ქვეყნის ბაზრები, რომ განძლიერდეს და განკარგდეს პურის გატანის საქმე და გამოირკვეს პირობანი პურის გამტან საავენტოების დაარსებისა, მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ჩვენს უმთავრესს ნავთსადგურებსა და საზღვარ-გარედ ჰგზავნის ერთს ამ საქმის მცოდნე კაცს.

**ლიონი.** დღეს დილით დასაჯეს კაზერიო; დამნაშავე დიდხანს იბრძოდა, როდესაც იმის თავს გილიოტინის დანის ქვეშ იჭერდნენ.

**სოფია.** რადგან გუშინ წლის თავი იყო იმ დღისა, როდესაც პრინცმა კობურგელმა იკისრა ბოლგარიის მმართველობა, საზოგადოდ დანაშაულნი ეპატიათ საპოლიტიკო დამნაშავეებს; დანაშაული არ ეპატია მხოლოდ ერთს—კარაველოვს, რომელმაც გადაწყვეტით უარი სთქვა, არა ვსთხოვ პატიებასაო; საპატიმროდგან განთავისუფლებულ იქმნა აგრეთვე 245 სული, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ ჩვეულებრივ დანაშაულობათათვის.

## ახალი ამბავი

***. მაისის პირველში, გათავდა ვადა ძველის ქაღალდის ფულის ბანკში მიღებისა. ბევრს, ნამეტნავად იმათ, რომელნიც არა კითხულობენ გაზეთებს, ძველი ფული შენახული ჰქონიათ სახლში რამდენისამე ასის თუმნისა და ეხლა-კი ამ ფულს არავინ აღარ იღებს. ამის გამო ძველის ფულის პატრონებმა მიჰმართეს ბანკის მმართველს თხოვნით, მიიღეთ ჩვენი ძველი ფული და გამოგვიცვალეთ ახალ ფულზედაო. ბანკის მმართველმა უარი უთხრა, მაგრამ დაჰპირდა, ვიშუამდგომლებ ბ-ნ ფინანსთა

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

გლესავ და გლესავ, კალამო,
ალმასო, ბატის ფრთისაო,
შენ უნდა ამცნო ქვეყანას
სიბრძნე და მადლი ცისაო,
შენ უნდა მოჰკლა ბოროტი
და გულიც ჩვენის მტრისაო...
თუ სიკვდილამდე გიმტყუნო,—
მაისსამდეს პირაღვთისაო.

დ. მაჩხანელი

### თანამშრომელნი

(ჟულ კლარეტისა)

ის უნდა მოვიდეს!

ლეონ დორნუამ სუყველაფერი მოამზადა იმის დასახვედრად. ვარდები მშვენიერი ლარნაკით, თეთრი ღვინო და ყვავილები—ყვავილები ყველა კუთხეში! უყვარდა სატრფოს დასახვედრად გარეგნობისთვის მშვენიერი სახე დაედო.

ბედნიერია! სიჭაბუკე, ჯანის სიმრთელე, საზოგადოების თანაგრძნობა, დიდება და ამასთან კიდევ სიყვარული უმშვენიერესი, ჟანასა, პიერ მოდუის მეორე ცოლისა, იმ პიერ მოდუისა, ვისი სახელიც იმის სახელთან ერთად იყო აღბეჭდილი განცხადებაში... საკვირველია, საკვირველი! თხუთმეტი დღე გავიდა მხოლოდ მას შემდეგ, იმათ თანაზიარად შედგენილი კომედიის გამარჯვება იდღესასწაულეს და ეხლა-კი ლეონ დორნუა ელის თავისს პატარა ოტელ „ავენიუ ფროშე"-ში მოდუის ცოლს. მისგან გაღმერთებულმა ჟანამ აღუთქვა ნახვა და ისიც ელოდება სინიდისის უქენჯნავად, უნაღვლელად, თუმცა-კი მოუთმენლად. ლეონს თავისი საქციელი არ ეუცხოვება: იგი ამ ამბავს ცხოვრების უბრალო და ხშირ მოვლენადა სთვლის. განა მოდუი თხუთმეტის წლით იმაზედ და ოცის წლით ჟანაზედ უფროსი არ არის? მოდუი უკვე ორმოცდა-ათს გადაცილებული იყო, თუმცა შეხედულობა ჩინებული ჰქონდა: ბევრგან ჯერ-ჯერობით კიდევ იქცევდა ყურადღებას, მაგრამ ლეონ დორნუას-კი ვერ შეედრებოდა, იმ ლეონ დორნუას, რომელიც განთქმული იყო თავისის საუცხოო თვალებით და კოპწია ულვაშებით. დიაღ, ლამაზი იყო! ლეონი მივიდა სარკესთან, რომ უფრო ბეჯითად დარწმუნებულიყო თავისს სილამაზეს. ამ დროს გაისმა კიდეც ზარის წკარუნი. ის არის!

მოსამსახურე შინ არ იყო. ამ გვარ შემთხვევაში თავისს მოსამსახურეს პასში ჰგზავნიდა ხოლმე დეიდის მოსაკითხავად. ლეონი გაეშურა კარებისაკენ და როგორც უნდა დაეყვირნა: „ჩემო მშვენიერო ჟანაო", იმის გაკვირვებულს თვალებს წარმოუდგა მოსამსახურე წერილით ხელში. მაშინვე იცნო იმისი ხელი. უთუოდ არ მოვა! ალბად რამე დაბრკოლებამ, მაგალითად პროვინციიდგან ნათესავების თავსდასხმამ, ან სხვა ამ გვარ გარემოებამ შეუშალა ხელი. გამოთმევისთანავე მოუთმენლად გადაფხრიწა კონვერტი. აი რას იწერებოდა ჟანა: „დღეს შეუძლებელია. ის მოდის შენთან, ის გნახავს, იმისთვის საჭიროა შენი ნახვა. ნახვამდის, ჩემო ძვირფასო!" „ის გნახავსო!" გაჯავრებით განიმეორა ლეონმა. კარგიადა ცოლის მაგივრად ქმრის ნახვა! მოდუი მშვენიერ ჟანას მაგივრად' „იმისთვის საჭიროა შენი ნახვაო"!

საოცარია! რისთვის დასჭირდა უცბად მოდუის ლეონი. განა ორის დღის წინად ერთად არ მოვილაპარაკეთ და ერთმანეთის სანახავად მომავალ კვირის ორშაბათი არ დავნიშნეთ? მე მოდუასას უნდა მივსულიყავ და ეხლა-კი უკუღმა გამოდის. განა არ იცის, რომ ჯერ კომედიის სცენები შემუშავებული არ მექნება? ნუ თუ ჰსურს მომელაპარაკოს კომედიის შესახებ, რომლის გეგმაც ერთად შევამუშავეთ? ნუ თუ მომხიბლავ ჟანას კოცნის, ალერსის მაგიერ იმის ქმართან მშრალი და უგემური ლაპარაკი მომელის? ეს ქურდობაა! ქურდობა ძვირფასის სიამოვნებისა და მერე ქურდი ვინ არის? ქმარი. ასეთს ფიქრებში იყო გართული ლეონი.

რა იქნება! მეტი ღონე არ არის, ამ აუცილებელს ვარამს უნდა დაჰმორჩილებოდა. ლეონმა საჩქაროდ აალაგა ყვავილები, ღვინო! შემდეგ მიუჯდა საწერ მაგიდას და ზარმაცად დაუწყო გაფანტულ ფურცლებს წესრიგში მოყვანა; დაალაგა ალალმები, ყუთები, მხოლოდ წინ დასდო პატარა, კოხტა, მოელვარე ვერცხლის ტარიანი სატევარი. იმისი ფიქრი ჟანასკენ მიჰფრინავდა, ამ სათაყვანო ქმნილებასთან, რომელთან სატრფიალო იმედი გაუცრუა ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ.

აგერ, ზარიც დააწკარუნეს. ლეონს გაურბინა თავში ერთმა აზრმა, მოდი, ნუ ვეჩვენებიო, მაგრამ შეტყობის სურვილმა, მოდუის რად დავსჭირვებივარო, დასძლია და შეაცვლევინა აზრი.

მეორე, უფრო ძლიერ დაწკარუნებაზედ ლეონი გაეშურა კარებისკენ; გაალო კარები და იმის თვალს წარმოუდგა დაღვრემილი მოდუი, რომელმაც ცივად დაუქნია თავი სალამის გამოსახატავად და ქუდ მოუხდელად ჩქარის ნაბიჯით გაემართა სამუშაო ოთახისაკენ. არც სიარული, არც სახის გამომეტყველება არა ჰგავდა სიარულსა და სახეს იმ მოდუისა, რომელსაც აქამდე ლეონი იცნობდა.

„აქ საქმე სხვა ნაირად არისო", იფიქრა ლეონმა, პიესა აქ არაფერს შუაში არ უნდა იყოს"!

ლეონიც შეჰყვა სამუშაო ოთახში. მოდუი შედგა ბუხრის წინ, თვალებ-

მინისტრის წინაშე, რომ სახელმწიფო საბჭოსა სთხოვოს ძველი ფულის გამოსაცვლელად კიდევ ახალი ვადა დაჰნიშნოსო. ზოგიერთმა ვაჟბატონებმა გაიგეს ეს ამბავი და გაემგზავრნენ სოფლებში ძველის ფულის მოსაგროვებლად. ერთ თუმან ძველ ქაღალდის ფულში ორს შაურს ან ერთს აბაზს აძლევენ იმ იმედით, რომ შემდეგ დანიშნული იქნება ახალი ვადა და ამ ძველს ფულს ბანკში გამოსცვლიან ახალზეო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენიმე ინჟენერი, რომელნიც გაემგზავრნენ ტფილისიდგან ყარსზედ გასაყვან რკინის გზის მიმართულების გამოსაკვლევად, ამ თვის ბოლოს დაასრულებენ გზის გამოკვლევას და სექტემბრის პირველ რიცხვებში თავიანთ მოხსენებას და ხარჯთ აღრიცხვას წარუდგენენ კავკასიის გზათა ოლქის უფროსს.

*** ტფილისის სამხედრო ბეგარის საკრებულომ უკვე შეადგინა სია იმ ახალგაზდა ყმაწვილკაცებისა, რომელნიც დაბადებულან 1872 წ. 1 ოქტომბრიდგან 1873 წლის 1 ოქტომბრამდე. სიაში მოქცეულია სულ 523 ყმაწვილ კაცის გვარი, ამათ შორის ქართველი და სომეხი 325 კაცია, დანარჩენი 198 კაცი-კი რუსნი, ებრაელნი და სხვანი არიან. ამ რიცხვიდგან ჯარში კენჭის ყრით გაწვეული იქნება სულ 54 ყმაწვილი კაცი, მათგან ქართველი და სომეხი—32 კაცი, რუსი და ებრაელიკი—22 კაცი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალციხის რკინის გზის შტოს გაყვანას შეუდგებიან გაზაფხულიდგან. ახალციხიდგან აბასთუმნამდე რკინის გზის შტოს არ განაგრძობენ და აქ მარტო ეტლები ივლიან.

*** გუშინ ქალაქის გამგეობაში განცხადებათა გასაკვრელ სვეტების იჯარით გასაცემად საჯარო ვაჭრობა იყო. იჯარა ა. პეტროვს დარჩა 1,101 მან. წელიწადში.

*** დრამატიულ თხზულებათა ცენზორად ბეჭვდის საქმეთა მთავარ-სამმართველოში დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო საქმეთა მოხელე ი. მ. ლიტვინოვი.

*** რადგანაც დღე არ გადიოდა, რომ საზაფხულო თეატრის ახლოს მტკვარში ვინმე მობანავეთაგანი არ დამრჩვალიყო, გუშინ ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მესამე და მეცხრე განყოფილების ბოქაულებს, ეხლავე ყველას აუკრძალეთ ამ ალაგას მტკვარში ბანაობაო.

*** ფოთი: ამ სამის კვირის წინად ფოთს ესტუმრა ბ-ნი რატილი თავის ხოროთი. რადგანაც ბ-ნ რატილის მოსვლაცა და წასვლაც აჩქარებული იყო, ეს არის მიზეზი, რომ იმისს პირველს, სალამოს სასურველი რიცხვი მსმენელთა არ დაესწრო. ყოველს დამსწრეზედ-კი იმისმა კონცერტმა ისეთ ნაირად იმოქმედა, რომ, თუ მომავალში მისს მოსვლას მოვესწარით, დიდს თანაგრძნობას გამოიწვევს ფოთელების მხრივ ეს ჩვენის ერისათვის გულწრფელად მოღვაწე გარეჯე ადამიანი.

*** იმ ავადმყოფობის გამოსაკვლევად, რომელიც ამ უკანასკნელს ხანში გაჩნდა სიღნაღის მაზრაში, გაგზავნილ იქმნა საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ თუმცა ეს ავადმყოფობა მუცლის ტკივილით და ფაღარათობით იწყება, მაგრამ ხოლერასთან საერთო სრულიად არა აქვს-რა. მიზეზი ამ ავადმყოფობისა საჭმლის გაუფრთხილებლობააო. („ტფ. ფურც.“)

*** 4 აგვისტოს ქვრივმა სოფიო კოროლენკომ მესამე ნაგორის ქუჩაზე იპოვნა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს მათე ივანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ოლგას ქუჩაზედ, სადგურიდგან 140 მ. მომპარესო. ქურდობა დააბრალა თავისს მოსამსახურეს ოლგა მაიაცკის. მაიაცკი იმავ ღამეს დაიმალა, მაგრამ ბოქაულის თანაშემწემ წულუკიძემ შეიპყრო გოლდლუსტის წუმწუმის ქარხანაში და ფულიც ზედ უპოვნა. დამნაშავემ თავისი დანაშაული აღიარა.

—

**შეცდომის გასწორება:** „ივერიის“ გუშინდელ მე-167 №-ის ფელეტონში ერთი შეცდომა შეგვპარვია. „ია-ვარდის საუბარი“-ს პირველ გვერდის მესამე, ფელეტონის დასაწყის სვეტის პირველ სტრიქონში დაბეჭდილია „დაჰკვნეს მიწას ძნელსა და შავს“, უნდა იყოს: „დაჰკვნესს მიწას ბნელსა და შავს“.

«ივერიის» მე-140№-ის W. Vaziani-ს ფელეტონში შეცდომით დაბეჭდილია მესამე გვერდის მეხუთე სვეტის მეხუთე სტრიქონში ქვეიდგან Miss Majrory Wardrop-ი უნდა იყოს Miss Marjory Wardrop-ი; იმავე სვეტის მეოცე სტრიქონში ქვეიდგან დაბეჭდილია Mrs ლიპნ-ლინტონი, უნდა იყოს ლინნ-ლინტონი; იმავე გვერდის მეოთხე სვეტის მეოთხე სტრიქონში ქვეიდგან დაბეჭდილია Tempe. უნდა იყოს Temple; იმავე გვერდის პირველ სვეტის მეთორმეტე სტრიქონში ქვეიდგან დაბეჭდილია Liliam W., უნდა იყოს Lillian W.

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნენ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად ამიერ-კავკასიის მხარეში, სამის წლის ვადით 1894 წლის 1 ივლისიდგან:

ქუთაისის სასამართლო ოლქში*): ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, დ. ს. სოვ. ბარონ ფონ-დერ-ბრიუგენი, დირექტორი ქუთაისის გიმნაზიისა დ. ს. სოვ. სტოიანოვი, ექიმი კოლ. სოვ. ვორონოვი, ქუთაისის სადამოქნო ოლქის უფროსი დ. ს. ს. ზიკოვი, ინჟენერი ს. სოვ. ზალესსკი; ფოთის სათადარიგო ქვეითა ჯარის უფროსი ექიმი კოლ. სოვ. ბარანოვსკი, ს. სოვ. ბაქრაძე, სამსახურს გარეშე მყოფი ვიცე-ადმირალი გრევე და სამსახურს გარეშე მყოფი ტიტ. სოვ. ტატარინოვი;

ერევნის სასამართლო ოლქში: უფროსი საბჭოს წევრი ერევნის საგუბერნიო გამგეობისა იუნკისი, წევრი ერევნის გუბერნიის სასოფლო საქმეთა საკრებულოსი ანდრეევი, დირექტორი ერევნის გიმნაზიისა დ. ს. სოვ. ბრაუნიკოვი, დირექტორი ერევნის საოსტატო სემინარიისა დ. სტ. სოვ. სუშჩევსკი, მომრიგებელ-შუამავლები: სურმალინის განყოფილებისა—გუბერ. სეკ. აბაევი, ნახჩევნის განყოფილებისა—სტ. სოვ. სუმინი, სამსახურს გარეშე მყოფი გენ. ლეიტ. თ. პროსკურიაკოვი, სამსახურს გარეშე მყოფი გენ. ლეიტ. ვ. პროსკურიაკოვი, ექიმი მე-39 ქვეითა ჯარის დივიზიისა დ. ს. სოვ. მინკევიჩი, ინჟენერი სტ. სოვ. ფონ-ცურმილენი და უფროსი ექიმი ყარსის სამხედრო საავადმყოფოსი სტ. სოვ. კრესტნიკოვი;

განჯის სასამართლოს ოლქში: განჯის ოლქის სასამართლოს უფროსის ნოტარიუსის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟ. სეკ. ლავროვსკი, ჯიბრაილის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ ნამყოფი ჰამიდ-ბეგ-ვეზიროვი, წევრნი განჯის სასოფლო საქმეთა საკრებულოსი დ. სტ. სოვ.: ზაპოლსკი და პიხაჩევი, განჯის გუბერნიის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელი სტ. სოვეტ. გავრილკო, ექიმი, კოლ. სოვ. მელიქ-ბეგლაროვი, განჯის საგუბერნიო გამგეობის საბჭოს წევრი ნად. სოვ. კოკჩაევი, ზოოლოგიის მაგისტრი შულგინი, სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ქალანთაროვი, შუშის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი პუშკარიოვი, შუშის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ნად. სოვ. ტუზოვი და ყუბანის ყაზახთა ჯარის მე-2 ბატალიონის უფროსი ექიმი კოლ. სოვ. შპაკოვსკი;

ბაქოს სასამართლოს ოლქში: სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი 1-ლის ხარისხისა გურდოვი, სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი მე-2 ხარისხისა ირეცკი, ბაქოს პირველის გილდიის ვაჭარი გუკასოვი, დოქტორი ქიმიისა ხანლაროვი, ბაქოს ვიცე-გუბერნატორი ლილიევი, სამსახურს გარეშე მყოფი ს. სოვ. კარპოვიჩი, თანაშემწე დაღესტნის თემის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგებლისა კოლ. ასესორი სარაჯიშვილი, სამსახურს გარეშე მყოფი სტ. სოვ. ბენისლავსკი, იურიდიულ ფაკულტეტის კანდიდატი ბიკოვი, ქალაქ ბაქოს მოურავი დ. ს. სოვ. დესპოტ-ზენოვიჩი, ჯევათის მომრიგებელ-შუამავალი კალ. ას. მალევიჩი, დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწენი: ტიხანოვი და უზბაშოვი, კომისარი სპარსეთის საზღვრისა, სტ. სოვ. სემევსკი და დირექტორი ბაქოს სადამოქნო კარანტინისა, სტ. სოვ. ილიინი.

*) ტფილისის სასამართლო ოლქში საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად დანიშნულთა გვარები უკვე დაბეჭდილი გვქონდა.

## დამაკვირდი

—

უველგან, სადაც-კი კანონი უძლურია დაიცვას და დაიფაროს სუსტი ძლიერისაგან, სიმდიდრეს ჰხმარობს ადამიანი საშუალებად, რომ უზრუნველ ჰყოს თავი თვისი ძლიერთა უსამართლობისა, დაჩაგვრისა და მტრობისაგან.

ჰერვეციუსი

**

მოდა რა არისმაა? ვინ იცნობს იმის სახეს? ან შეუძლიან განა ვისმე იმისი ცნობა? იგი ხომ ხვალ არ ემგზავსება იმას, რაც დღეს არის! მოდა თითონაც ვერ იცნობს თავისს თავს.

ლოგო

**

ისე არავის უყვარს სხვისი აჩქარება, როგორც ზარმაცს.

ლაროშფუკო

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

აბა გადაჰხედეთ, მკითხველო, თქვენის მოწყალისა და შორს-განმჭვრეტელის თვალით ჩვენს დაბა-ქალაქებს, და, თუ ვინიცობაა, თვალის ისარი არ გაგიწვდეთ, იმათგან მოწერილს და გაზეთებში დაბეჭდილს წერილებს მაინც. რასა სჩივიან, რა აწუხებთ, რას დრტვინავენ? ყველგან ერთი და იგივე საჩივარი ისმის: ქუჩების უსუფთაობა, უგზოობა, უხიდობა, გამეფებული სიბნელე-სიწყვდიადე და სხვანი, და სხვანი მრავალნი ამ გვარნი. ფოთი, ბათუმი, თელავი, ოზურგეთი, გორი, ზუგდიდი და თვით იმერეთის მთავარ-ქალაქი ქუთაისიც-კი, სადაც ბუზი ვერ დააჯდება ადამიანს ცხვირზედ, რომ იგი სამართალში არ იქმნას მიცემული შეურაცხებისათვის და კენჭისყრა ისე არ დაიწყება, რომ სულიერი და უსულო, ცულიანი და უცულო ყალხზედ არ დადგეს და ხანჯალზედ არ იტაცოს ხელი...

ამ დრტვინვა-ჩივილის მსმენელს მე, ტფილელს, ყოველთვის გამელიმება ხოლმე და ჩემდა უნებურად ერთი ქართული ანდაზა მაგონდება: «დედა ჰნახე, მამა ჰნახე, შვილი ისე გამოჰნახეო». საკმარისია ადამიანმა გაითვალისწინოს ტფილისის, ამ საქართველოს დედა-ქალაქის, ყოფა-მდგომარეობა, რომ ადვილად მიხვდეს, რა ვაგლახი, რა დუხჭირი, რა შესაბრალისი, რა საცოდავი სანახავი უნდა იყოს ჩვენის ქვეყნის, დედა-კი არა, ყოველი ახლად ნაბარტყი ქალაქუნა. რომელიც სოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე ქალაქს, და რომელსაც ქალაქო-

---

ზედ ჩამოფხატულის შლიაპით. მის სახეს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა; დაღვრემით შეავლო თვალი ლეონს და შლიაპა უფრო ჩამოიფხატა თვალებზედ.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ. აღელვებული ვარ. არ შემიძლიან ერთს ალაგას მოსვენება.

იმისი ხმა ქუხილს მოგაგონებდათ ქარიშხალის წინ.

— ეს რას ჰნიშნავსო?—იფიქრა დორნუამ; თუ მე და ჟანას საქმე სახიფათოდ გახდა, ჟანა, უეჭველია, გამაფრთხილებდა, მაშასადამე ეს აზრი ტყუილია. იქნება გუმანი აქვს აღებული? რაც უნდა იყოს, სჯობს ყური მახვილად მეჭიროს.

— მაშ, ჩემო მეგობარო, არა გსურთ დაბრძანება; ასე მოვილაპარაკოთ. უთუოდ კომედიის შესახებ გსურთ მოლაპარაკება. ძალიან მხიარული ამბავია საკომედიოთ აღებული არა?

— სცდებით. მე თქვენთან კომედიის შესახებ მოსალაპარაკებლად-კი არ მოვედი, მინდა დრამატიულ შინაარსის პიესის გამო მოგესაუბროთ, გესმით! მე მინდა დრამატიული პიესა დავსწერო და რჩევის საკითხავად შემოვიარე.

— ჩემი თანამშრომლობაც საჭიროა?

— ნამდვილად. თუ შინაარსი მოგეწონებათ, ჩვენ ერთად შევადგინოთ.

— გისმენთ, მიუგო დორნუამ და ცოტა თავისუფლად ამოიქშინა.

— აი, ხედავთ, ჩემო ლეონ, ჩემთვის საინტერესოა პიესის დასკვნა. დრამის შინაარსი მზადა მაქვს, მხოლოდ შესაფერი დასკვნა ვერ მიპოვნია, რისთვისაც თქვენი შემწეობა არის საჭირო. მომისმინეთ, შინაარსს რამდენიმე სიტყვით გარდმოგცემთ: როგორც ყოველთვის, ეს დრამაც არშიყობით იწყება; უმთავრესი მომქმედი სამია: ქმარი, ცოლი და საყვარელი! ქმარი ჩემს დრამაში ოტელლოს უნდა ჰგავდეს—კაცის მკვლელია, თუმცა პატიოსანი-კია. ქმარი ერთს მშვენიერს დღეს ამჩნევს, რომ ჩემი საუკეთესო მეგობარი მღალატობსო, და იმის მოკვლას განიზრახავს; ცოლს როდი ჰკლავს, არა, ჩემი გმირი აგეთი სულელი არ არის: ცოლი უყვარს და თავისთვის ინახავს; მისი შურისძიება მიმართულია მთლად საყვარლისაკენ. ხომ გაიგეთ, რაცა ვსთქვი?

ამ ლაპარაკის დროს დორნუა თვალს არ არიდებდა მოზაასეს. იგი თანდათან აიტანა მღელვარებამ და მოუსვენრობამ: ლეონი იმის სიტყვებში დაცინვასა და მუქარას ამჩნევდა.

როგორც იყო თავი შეიმაგრა და წაიბუტბუტა:

— ჰოო! გავიგე. აი რა აგიღიათ შინაარსათ! დრამა ტრაგიკულის დასასრულით! როგორა ჰფიქრობთ, მხიარულ დასასრულს უფრო დიდი გავლენა არა აქვს საზოგადოებაზედ?

— აბა-ბა-ბა! ეგ აღარა სთქვათ. მე მსურს ტრაგიკულად დავაბოლოვო და ეს საჭიროა, როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც! როგორც გეტყობათ, თვალს არ ადევნებთ ახალს მიმართულებას. განა ვერ ატყობთ, რომ მოთხოვნილება, გემოვნება შეიცვალა? ეხლა კომედიას დრამას ამჯობინებენ; თუ იმას იტყვით, რომ ჩვენმა კომედიამ გაიმარჯვაო, ეგ არაფერია; სულ უბრალო შემთხვევის ბრალია. არა, ჩვენ დრამა უნდა დავწეროთ, საშინელი დრამა!

— ძალიან კარგი, თანახმა ვარ, დავწეროთ დრამა, მიუგო მორჩილებით დორნუამ.

— ქმარი ღირსეული კაცია; ბრმად ენდობა თავისს მეგობარს.

— რამდენი წლისაა ქმარი?

— დაახლოვებით ჩემის ხნისაა.

— მეგობარი?

— ის კი ძალიან ახალგაზდაა, ქაბუკია, მაგრამ მისი სიჭაბუკე შესანდობარი და გასამართლებელი საბუთი არ არის; ამის გამო უფრო ვალდებულია კრძალვითა და პატივისცემით მოეპყრას სხვის ბედნიერებას. პიესის ნასკვიც ამაშია, რომ მეგობარი საძაგელია, ფლიდია, ამისთვისაც ქმრის შურისძიება შესანდობრია და არ არის გასაკიცხავი.

უბედური დორნუა სცდილობდა თავის მეგობრის ლაპარაკის ნამდვილი აზრი შეეგნო. ვინ იდგა იმის წინ? მოტყუებული ქმარი, რომელიც მიზეზს ეძებდა, რომ შეურაცხება მიეყენებინა, თუ მწერალი, მიმდევარი ერთის რომლისამე აზრისა.

საშინლად თრთოდა და არ იცოდა, როგორ დაეხსნა თავი ამ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან.

— იქნება საყვარელი, რომელსაც მოკვლას უპირებთ....

— დიაღ, დიაღ! მოკვლას არა ჩვეულებრივს, სამაგალითოს.

— ძალიან კარგი, მაგრამ იქნება შესაწყნარებელი საბუთი წარმოგიდგინოთ?

— ვინ?

— იმან... საყვარელმა.

— რა საბუთი?

— სიჭაბუკე... სურვილი... გულის თქმა.

— ეგ სულ ტყუილია. თავი უნდა შეემაგრებინა.

— ქალის კოპწიაობა, არშიყობა...

— მეგობრის ვალი იყო სწორე გზაზედ დაეყენებინა. თუნდ ეგეც არა, ჩემი გმირი ქალი არა კოპწიაობს, იგი ჩემს ოცნებაში პატიოსანი დედაკაცია: წვალობს, იქენჯნება, თავს იმაგრებს, ემუდარება...

— თქვენ აგრე ჰფიქრობთ? სიჩქარით შეეკითხა დორნუა.

— დიაღ, მე ამ ხასიათისა მინდა აღვნიშნო, ეხლა მე იმის ფიქრში ვარ, რა გვარი სიკვდილი მოუძებნო მაცდურს. თქვენ რას იტყვით... რევოლვერი არა სჯობს?..

— რა უჭირს... ეხლა მოდაშია რევოლვერი.

— შემთხვევით ხომ არ გექნებათ რევოლვერი?

— მე... არა... ანკი რად გნებავთო? შეეკითხა ძალზედ გადაფითრებული ლეონ დორნუა.

— მინდოდა მეცადნა. ხშირად ასე ვიქცევი ხოლმე პიესის წერილს დაწყების დროს. ვწუხვარ, რომ რევოლვერი არა გაქვთ.

მოდიუმ თვალი შემოავლო ოთახს

ბა სახელით აქვს ბოძებული და სახრავად-კი მხოლოდ რამდენიმე წურბელა ჩარჩის დუქან-ბაზარი აკუნტია.

ამ პაწია, ამ უბადრუკ ქალაქებს ვინა სჩივის, აბა ერთი ჩვენს დედაქალაქსა ვკითხოთ:

1) რისაგან არის, რომ ავჭალის წყლის მილს ასე ხშირად სჭირდება დაკოწიწებ-დაკერება და ექიმბაში? რისაგან არის, რომ დამაშვრალნი მკვიდრნი გამშრალის ტუჩებით იმუდარებიან, „წყალი, წყალიო!“ და პასუხად ესმით: ცოტაც მოითმინეთ, დალოცვილო, აგრეთი მოუთმენელობაც გაგონილაო! ხომ გესმით, წყურვილით ხახა-გამომშრალი მოუთმენელია და ქალაქის გამგეობა-კი მოთმენილი!..

2) რისაგან არის, რომ ქუჩებში, დიდზედაცა და პატარაზედაც, მთელი ნისლი და ბუქი სდგას მტვრისა და ფქვილივით ჰჭანგლავს ადამიანს?.. რისაგან არის, რომ ეხლა, როდესაც ოთხს საათზედ თენდება, ქალაქის დამგველი მუშები ჯერ ყავას მიირთმევენ, მერე ისე იწყებენ მოშუადღევებულზედ, ათ-თერთმეტს საათზედ, ქუჩების გვას და ხალხს ცხვირპირში აყრიან ნაგავს?.. რისაგან არის, რომ მდ. მტკვარიც-კი, რომელიც ცხვირ წინა აქვს ქალაქს, ვერ გამოუყენებიათ ქუჩების სარწყავად? რისაგან არის, რომ ვერის ხიდზედ ათამდე მოხელეა დაყენებული შაურიანების საკრეფ და და სახვეტად და ორიოდე მუშა კი ვერ დაუქირავებიათ, რომ მდინარედგან წყალი ჰზიდონ და ქუჩები მორწყან?!.

3) რისაგან არის, რომ ქალაქში ღამე ფარნები ისე საცოდავად ჰბჟუტავს და იკვამლება და თუ ადამიანს შიში აქვს რისამე, ისევ იმისი, რომ ამ ფარნის ბოძებს არ დაეტაკოს და კისერი არ მიამტვრიოს? რად ეთავაზება ქალაქის იჯარადარს გამგეობა ისე, რომ ეს ბატონი ერთს საათს რომ მთვარე იყოს, ამ მიზეზით მთელის ღამით არ ანთებს ფარნებს და ცაზედ მთვარეს ტფილისში ხშირად ამ იჯარადარის მეტი ვერავინა ჰხედავს?..

4) რისაგან არის, რომ... მაგრამ რომელი ვსთქვათ, რის ჭირი ჩვენი მრავალ არს, ხოლო მკურნალნი ყოვლად არა.

იტყვით, ეს რაცა სთქვით, ბევრჯელ თქმულა, არ-ახალი—ძველიაო, მაგრამ თუ ძველს არ გააახლებთ, რასაკვირველია, ისევე ძველად დარჩება. მშიერს ადამიანს რომ ლუკმა არ აჭამოთ და მესამჯერ იჩივლოს, განა გეთქმით, ეგ ხომ არა ერთხელ გაგვიგონია, არ ახალია—ძველიაო?!..

იმედია, ეს ძველი, ჩვენ მიერ ხელ-ახლად ნათქვამი, ეხლა მაინც არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, ვინაიდგან ჩვენის ქალაქის ახალს საბჭოს ახალი მდივანი ჰყავს, რომელსაც კალამის აღება ხელში ძლიან ეხერხება და ძლიან გაფაციცებით, ძლიან ყურ-ცქვიტად ადევნებს თვალ-ყურს ქალაქის შესახებ გაზეთში დაბეჭდილს ყოველს სიტყვას და მაშინვე პასუხს უგებს ხოლმე. ვსდუმნეთ, ვიდრე აღახვნიდეს ბაგესა თვისსა კალმოსანი მდივანი ჩვენის საბჭოსი და გამოილაშქრებდეს ჩვენდა საპასუხოდ, ჩვენდა გასასამტვერებლად!..

ჩიორა

## კორესპონდენცია

**ს. ბრეთი** (ქართლი): არც ჩვენი სოფელი ჩამორჩა სხვა მხრის სოფლებს საერთო მისწრაფებით და სწავლა-ცოდნის შეძენის სურვილით. აქ ბარე ორი წელიწადია, რაც ხალხს რაღაც მოძრაობა დაეტყო, სამწუხაროდ ამ მოძრაობას სასურველი შედეგი ვერ მოსდევს. აგერ რამდენიმე ხანია გლეხ-კაცობაში აღძრულია ლაპარაკი სასწავლებლის დაარსების შესახებ და ჯერ-ჯერობით ვერ დაუარსებიათ რიგიანი სასწავლებელი. მოთავეებად ამ საქმეში ურნდებიან მცოდნე და შეგნებული ხალხი, რომელნიც ხერხიანად ჰმოქმედობენ გლეხ-კაცობაში და სასწავლებლის გარდა ბევრს სხვა საკეთილო საქმეებს აბედვინებენ. ამ მხრივ ყველაზედ მეტი შრომა მიუძღვის ბ-ნს ვ. ავალიშვილს, უფრო-კი ბლ. მღვდელს გ. ედილაშვილს. მამა გ. ედილაშვილი რა ერთი ხანია მონდომებულია სასწავლებლის დაარსებას და დიდიხანიც ჩასჩიჩინებდა ამას ხალხს, მაგრამ რაკი-ღა ღარიბ გლეხ-კაცობას სასწავლებლის ხარჯი ვერ აკისრებინა, ადგა და თითონ დაუთმო თავის ერთი ოთახი ბავშვებს და სწავლაც დააწყებინა. ხალხმა ერთი-ერთმანეთის მიბაძვით მიიყვანეს შვილები სასწავლებლად და აგერ წრეულობით უკვე 15 ბავშვი სწავლობს ამ სასწავლებელში. პატარა ბავშვები საშინელ სწავლის უნარს იჩენენ და მოკლე ხანში მშვენიერს წერა-კითხვას სწავლობენ. პატრონები სრულიად კმაყოფილნი არიან თავიანთის შვილებისა, რის გამოც სიამოვნებით აძლევენ მცირე გასამრჯელოს ბლ.-მღვდელს გ. ედილაშვილს.

როგორც სწავლის საქმეში, ისე სხვა კეთილ მოსაზრებას ხელს უწყობენ აქაური თავადიშვილებიც, მხოლოდ რამდენიმე კომლი. მეტადრე ეხმარებიან ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილების, რომელნიც აქ საკმაოდ იკრიბებიან ხოლმე საზაფხულოდ. სხვათა შორის ჩვენის თავადების დახმარებით 23 ივლისს აქ გამართული იყო წარმოდგენა. წარმოადგინეს: „და-ძმა“ გუნიასი და „ძუნწი“ გ. ერისთავისა. დანიშნულ დროს აუარებელი ხალხი შეიკრიბა იმ ადგილს, სადაც წარმოდგენა უნდა ყოფილიყო. მომეტებულ ნაწილად მოსულიყვნენ თავად-აზნაურნი მახლობელ სოფლებიდგან, რომელთაც დაექირათ ოთხი, თითო თორმეტ სკამიანი, რიგი. სკამებს უკან იყვნენ სკამეიკები და დასადგომი ადგილები. ეს ადგილებიც გლეხ-კაცობით იყო სავსე. ჩვენდა სასიხარულოთ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. მოსწავლე ყმაწვილებმა გვარიანად შეასრულეს თავიანთი როლები. ყველაზედ უკეთესად შეასრულა ძუნწის კარაპეტას როლი ვლ. ფავლენიშვილმა; დამსწრე საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოწვია ეს ახალგაზდა სცენაზედ ტაშის კვრით და ვაშას ძახილით.

წარმოდგენით აღებული ფული გადაიდო სალოლაშნის ეკკლესიის სასარგებლოდ, რომელსაც გადაკეთება და გადიდება სჭირდება.

ლ. ე.

---

**საინგილო**, 2 აგვისტო. საინგილო საქართველოს განაპირა კუთხეა. ამ მცირე კუნჭულს, საცა სცხოვრობს 13—15 ათასამდე ქართველი, გარეშემო არტყია სხვა-და-სხვა მოდგმის ერი, ვითარცა ლეკი, თათარი, ყიზილბაში და აქა-იქ სომეხი. ლეკთა რიცხვი მთელს მაზრაში 40 ათასამდეა, ხოლო რიცხვი ყველა მცხოვრებთა საერთოდ 75 ათასი. ორმოციოდე წლის წინად ინგილონი თათართა და ლეკთა ყმანი იყვნენ და დიდს ტანჯვა-წვალებას ითმენდნენ თავიანთ ბატონებისაგან. დღეს სულ სხვასა ვხედავთ. ინგილოთა ცხოვრება წარმატების გზას ადგას და დღე ყოველ ვითარდება. ორმოცი წლის წინად ქართული წერა-კითხვის მცოდნე აქ არც ერთი არ იყო, დღეს-კი წიგნის მცოდნე ასობით დაითვლება. ქალების სკოლებში სწავლობს 60-მდე მოწაფე, ვაჟებისაში (საერთოდ) 80-მდე. ქართული გალობა, ქართული სიტყვა-პასუხი გაისმის ყველგან ცხადად და აშკარად. წინად ესეები არ იყო. ქართულს შიშისაგამო თავის სახლშიაც კრძალვით ლაპარაკობდა აქაური კაცი. მთელს მაზრაში, თუმცა სხვა მოდგმის ხალხს უკეთესი სახნავ-სათესი უჭირავს, მაინც ინგილონი ყველაზე გამრჯელები, მდიდრები არიან. ინგილო ნამდვილი მეურნეა. მას აქვს ათასი საქმე: ხვნათესვის გარდა, იგი დაუსვენებლივ მუშაობს ბაღ-ვენახში. შიმშილი საინგილოში იშვიათი მოვლენა უნდა იყოს, რადგან მიწა ინგილოს აძლევს მრავალ-გვარ მოსავალს: საქონლით, ცხვრით, ცხენით, ბოსტნეულით, პურ-ქერ-ბრინჯ-ფეტვით, აბრეშუმით, თხილით და სხ. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით 1873 წელს მთელს მაზრაში იყო, 130,000-მდე სული ცხვარი და სხვა პირუტყვებიც მის შესაფერად. ჩემ-მიერ კაკის ბაზარში შეკრებილ ცნობებით მთელს მაზრაში ყოველ წლივ იყიდება 9,000-მდე ფუთი მატყლი, ფუთი შემოდგომის მატყლისა ხუთიდგან ექვს მანათამდე, ხოლო გაზაფხულისა $3-4\frac{1}{2}$-მდე. ამავე ბაზარში ისყიდება აგრეთვე თხილი, სულ 30—40 ათას ფუთამდე, ყოველ წლივ, ფუთი ცხრა აბაზიდგან თორმეტ აბაზამდე, ბრინჯი 10—12 ფუთამდე, ფუთი 120 კ.—160 კაპეიკამდე. თრიმლი 25 ათას ფუთამდე, ფუთი 180 კაპ. და მეტად.

ამას გარდა კაი ძალი შემოსავალი აქვს აბრეშუმსაც. წლეულს აბრეშუმის თესლი მოიტანეს სხვა-და-სხვა ფირმებმა, ვითარცა: ივანიდისმა—2200-მდე კოლოფი (კოლოფში 6—7 მისხალი თესლია), დერვიშიანმა—400 კოლოფი, გარნიკმა—1000-მდე და სხვებმაც 1500 კოლოფი. ივანიდის ფირმისა სულ დაიღუპა და ხალხი დიდად დაზარალდა. მთელი წლევანდელი შემოსავალი დაახლოვებით აღირიცხება 4500 ფუთამდე, რომლისაგან 1500 ფუთი იაპონიის ჯიშისაა, ხოლო დანარჩენი იტალიისა, ანუ ბრუსსისა. ფუთი ნედლი პარკი გაიყიდა იაპონიის ჯიშისა 5—7 მანათამდე. იტალიისა 11—12-მდე. ამდენი მოვიდა მარტო კაკის „უხასტკაში“, ხოლო დანარჩენ განყოფილებებში (ალიაბათისა, ბელაქნისა და ჭარისა) 10,000 ფუთამდე.

პურისა და ქერის მოსავალი წლეულს საშუალოდ ითვლება; მეტადრე კარგი ყანები დაიმკო შირაქში, ალმალოს მიდამოში. ვენახის მოსავალიც რიგიანია. თუმცა გაზაფხულს სეტყვამ დაჰკრა აქაურს ვენახებს, მაგრამ ისეთი სუსტი სეტყვა იყო, რომ ზარალი აღსანიშნავადაც არა ღირს. თხილის მოსავალსაც საშუალოს ამბობენ. თუმცა წვიმა ამ ზაფხულს სულ ერთჯერ გვეწვია, მაგრამ მაინც არა ცხელა. კაცი, საქონელი და ვენახი არ ავადობს. ხოლო ზოგიერთგან ჩალთუკი გაახრა ამ მცენარის ჭირმა—გზანგუმ. აქა-იქ, ხოლვერობას აქეთ, მუცლის ტკივილი დადის; მაგ., კაკში ორი კაცი ამ სენით აგერ თითო წელია, რაც ავადობენ და საშინლად მილეულან. ამ სოფელში თუმცა ორი ფერშალია,

---

და უცბად მხიარულად დაიძახა:

— არის. ვიპოვნე, რაც ჩემთვის საჭიროა!

ხელი გაიწოდე საწერ-მაგიდისკენ და აიღო იქიდგან სატევარი. ეჭვი არ იყო, რომ ლეონის წინაშე მოტყუებული ქმარი იდგა და თითონ-კი მსხვერპლი იყო იმის შურისძიებისა. ღონე მიხდილმა და ფერმკრთალმა ლეონმა ძალა მოიკრიფა და ერთხელ კიდევ გაუბედა თქმა.

— მომისმინეთ, ნუ თუ თქვენი გარდაწყვეტილება შეურყეველია? ის არ ემჯობინება, ქმარმა ვერაფერი ვერა გაიგოს-რა, პიესა ხომ მით უფრო სასიამოვნოდ და საუცხოოდ გათავდება?

— თქვენ კიდევ რას ჩააცივდით მაგ სასიამოვნოდ, საუცხოოდ რაღაცა ჯანდაბურად დასრულებას? ყოვლად შეუძლებელია! არ შეიძლება ქმარმა არ იცოდეს! გესმით თუ არა?!. იცის და შესაფერს გვირგვინსაც დაადგამს უსინიდისო მოღალატე მეგობარს! შურს ეძიებს, შურსა, და ისიც საზარელს, საშინელს, შექსპირულს!

— მართლა, ამოიოხრა დორნუამ. ჩემის ფიქრით მოლიერი სჯობია.

— არა და არა. მე მინდა პიესას ისეთი დასასრული მივცე, რომ მთელი პარიჟი ავალაპარაკო!

საბრალო დორნუას თვალში მოელანდა გზეთის სვეტი, რომლის სათაურშიაც მსხვილი ასოებით ეწერა: „დრამა ავენიუ ფროშე“-ში. შურისძიება მოტყუებულის ქმრისა!“ ღმერთო, რა საშინელებაა!

— მე ვფიქრობ, შენიშნა ცივად მოდიუმ, ცუდი არ იქნება, რომ ერთს მშვენიერს დილას საყვარელი იპოვნონ თავისსავე სახლში უსულოდ, გულში გარჭობილის სატევრით. თქვენ რას იტყვით.

— ჰმ... დიახ! არა უჭირს-რა, მიუგო უბედურმა დორნუამ...

— დიაღ, დიაღ, საუცხოო იქნება.

— მაშ, გარდასწყვიტეთ?

— ვინ, მე?

— დიახ, რა გვარი სიკვდილი ამოირჩიეთ?

— ჯერ კიდევ მოვიფიქრებ, წაიბუტბუტა მთლად დაბნეულმა ლეონმა.

— ეგ რა ამბავია, რა დაგემართათ შეეკითხა მოდიუ და მიუახლოვდა. (ხელში-კი ისევ ულაპლაპებდა სატევარი).

— არაფერია, მეგობარო, მერწმუნეთ არაფერია.

— სამარიდგან ამოღებულის ფერი გადევთ?

— წუხანდელი ღამე ცუდად გავატარე. უძილობისაგან ვიტანჯები...

— თქვენ გირჩევთ ხლორალი დალიოთ. თუ დალევთ მე გამოგიგზავნით.

— არა, ნუ შესწუხდებით, თუ ღმერთი გრწამთ. ვერაფერს ვერ დავლევ.

აშლილი ოცნება ეუბნებოდა, რომ ეს ახალი საშუალებაა შურის-ძიებისაო. ეს ოტელლო უეჭველია, საწამლავით შეზავებულ ხლორალს გამომიგზავნისო.

— გირჩევთ წამალი დალიოთ რამე ძალ-ღონის მოსაკრეფად! მალაგა არა გაქვთ?

— არა, მგონი, განჯინაში ხერესია.

მოდიუმ განჯინა გააღო.

— ვერ უყურებთ. წამოიძახა სიცილით: ღვინო, ხილი, ყვავილები! ააა, ეხლა-კი მესმის, რად გეცვალად ფერი! მე ძალიან ცუდს დროს მოვედი, თქვენ ეხლა თანამშრომლობისათვის არა გცხელათ განა? სთქვა ესა და მხიარულად გადიხარხარა.

— ჩემო მეგობარო! ეხლა-კი წაველ და უფრო კარგს დროს მოვალ. მაგრამ არა, სჯობია ისევ მე თვითონ შევიმუშავო დრამა და სხვა გვარი დასასრულიც გამოუნახო. რაცა ვსთქვით, ე. ი. რაც მე გითხარით, ასე დაბოლოვება დრამისა ხშირია, ბევრჯელ ნახმარი დრამებში, მაგრამ მე-კი ჩემსას გავიტან. ნახვამდის, მეგობარო!

დორნუამ არ იცოდა ჩამოერთვა ხელი, რომელიც მოდიუმ გამოუწოდა თუ არა. ისევ მოდიუმვე დაუჭირა ხელი და ალერსით შესცინა.

— დამერწმუნეთ, ლეონ, უქეიფოდა ბრძანდებით! უთუოდ ბევრსა ჰმუშაობთ. მოდიუმ წასვლა დააპირა, მაგრამ უცბად მოაგონდა, რომ ხელში სატევარი ისევ ეჭირა.

— კინაღამ თან წავიღე, სთქვა, და მაგიდაზედ დააგდო! არა, ხანჯალი არ ვარგა. საშუალ საუკუნოების სუნი უდის. უნდა სხვა მოვძებნო რამე ჩვენი კროის შესაფერი!

მოდიუ წავიდა და დორნუა-კი თითქმის გონება მიხდილი დესტოვა. ბევრის ხნით შეგუბებული ღელვა დამამშვიდებელ, გულიან ამოოხვრით აღმოხდა საბრალოს.

დაისხა ერთი ჭიქა ხერესი და დალია. ლეონმა ცოლისთვის მოამზადა, ქმარი-კი ურჩევდა, შენ დალიე, რომ ძალა-და-ღონე მოიკრიბოო.

იმ დღეს დორნუამ ორი წერილი გაჰგზავნა: ერთი თავისს თანამშრომელთან, მეორე... თანამშრომელ-ქალთან. პირველსა სწერდა:

„ჩემი იმედი ნულარ გექნებათ, აზრი შევიცვალე. უარს ვყოფ თეატრსა. რომანების წერას უნდა შეუდგეო“.

მეორე—ცოლს:

«შემდეგ სუყველაფერს გაგაგებინებთ, ეხლა-კი იტალიაში მივემგზავრები რომანს თავს ვანებებ და ისტორიული გამოკვლევა რამ მინდა დავწეროო».

— იცი, რა გითხრა, უთხრა ჟანამ ქმარს. მე გავიგე იმის ასე მოულოდნელად გამგზავრების მიზეზი... დორნუა ალბად ცოლს ირთავს?

— სულელი!

— კარგის აზრისა ბრძანებულხარ ცოლის შერთვის შესახებ?!

— იცი რა არის, ჩემო ძვირფასო! მე ძალიან მიყვარს დორნუა და მწყინს, მეცოდება, როცა სისულელეს სჩადის! ცოლის შერთვა ლატარიაა და ყველას ხომ ისეთი ძვირფასი საუნჯე არ შეხვდება, როგორიც შენ მე შემხვდი!

სთქვა ესა მოდიუმ და ჟანას შუბლზედ აკოცა...

ვ. ვ.

მაგრამ მათი წამლობაც ამ სნეულებას ვერ ანელებს.

ქურდობა წინად გაჩაღებული იყო საინგილოში. ეს ავი ხელობა ინგილოების სტიქიონი არ არის, როგორც ზოგიერთ სხვა ხალხებისა. ინგილო თუ ქურდობს ანუ ქურდობდა, ქურდობდა იმიტომ რომ მისი მოსისხლე მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ: სტაცებდნენ ცხენს, ხარს, კამეჩს, უწვავდნენ სახლს და სხ. ამას სამაგიეროს გადახდა უნდოდა. მალე ინგილოებმა გადააჭარბეს თავის ოსტატებს და ისეთი თავზარი დასცეს, რომ ამათ სოფლებში ველარ კადრულობენ პარპაშს, ძველებურად, თავისებურად. დღეს საინგილოში, როგორც შემომესმა მრავალთაგან, ქურდობა ფრიად სამარცხვინო ხელობად აღიარებულია და შესამჩნევად შემცირებულა.

ქრისტიანობამაც მკვიდრად ფესვი გაიდგა ინგილოებში, თუმცა, სამწუხაროდ, მაჰმადიანად დარჩენილი ჩვენი ძმები ისევ მტკიცედ იცავენ თავის რჯულს და არ ქრისტიანდებიან. თვით ამ სტრიქონების დამწერის ბიძაშვილნი, სოსკანში მცხოვრებელნი, ისევ მაჰმადიანობენ და ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ გარეშემო ფანატიკოსნი ლეკ-თათარნი გვარტყიანო და ქრისტიანთა ცხოვრება გასაჭირი გახდაო: აი, მაგ., თქვენ, ქრისტიანებს სკოლების გახსნის ნებასაც არ გაძლევენო და ჩვენ კი ყოველ მეჩითთან მედრესე გაგვიმართესო და სხვ. ინგილოთა გაქრისტიანება ფრიად სასარგებლო იქნებოდა, ვინაიდგან მაჰმადიანი ინგილოები დღეს ქრისტიან ინგილოთ აღარ ეკარებიან, სცდილობენ დაივიწყონ თავისი მამა-პაპეული ენა, ზნე-ჩვეულებანი; და ამისთვის ცოლად ირთავენ შექელ ყიზილბაშების ქალებს, რომელთა შვილები ქართულს ველარ ლაპარაკობენ. კარგი იქმნებოდა ამ მდიდარ ქვეყანას შესჩვეოდნენ ჩვენი კულტურის მედროშე იმერლები და აქ მრავლად დასახლებულ-დასიძევებულიყვნენ. უამისოდ, მარტო ერთი მუჭა ინგილო ძნელია, რომ გადურჩეს განადგურებას, მეტადრე დღეს, როდესაც აქაურს საერო სკოლებში ქართული ენის ხსენებაც არ არის.

ამ წინაზედ დავათვალიერეთ [1]) სასაფლაო შოთავარის ბინებისა, რომელიც იმყოფება იორის ალაზანთან შესართავის ახლოს. ეს ადგილები შესანიშნავი ადგილებია. ამ მიდამოში მოიპოვება ნანგრევი თორფალ-ყალისა (მიწის ციხე) ხირსის ნაშთები (ქიზიყის ხირსა ნუ გეგონებათ. ამ ნანგრევებს აქაური თათრებიც ხირსას ეძახიან), პერეთისა და სხ. შოთავრის ბინები ალაზნის მარცხენა ნაპირზეა, ვიწრო და ფრიად მაგარს ღელეში. ამ ადგილს თითქმის ყოველი მხრივ აჰყუდებიან თეთრი თიხის გორაკები; ამ გორაკების მწვერვალნი წაავავან გუმბათიან საყდრებს. ეს არე-მარე ყრუ და მშრალი ადგილია. აქა-იქ ღელეებში მოჩანს ბროწეულის ბუჩქი და ერთ-ნაირი მცენარე, რომელსაც საჰყიზის ხეს (კევის ხეს) ეძახიან. ჩვენი წინამძღოლი თათარი ყველგან გვიჩვენებდა ნასახლარებს, ნაკალოვარებს, ნარუვალებს და თანაც დასძენდა: ჰამი ბუ ჰერლარ გურჯი ოთურან ჰერლარიმიმ (ყველა ეს ადგილები ქართველის ნაცხოვრი ადგილებიაო). სასაფლაოც იქვეა, ალაზნის პირას, გორის კალთაზე. სულ ცოტა რომ ვსთქვათ ათას-ხუთასი სამარე იქნება, ყველას ადევს თლილი ქვა. მათში სამზე დარჩენილა [2]) წარწერა, მაგრამ ვაი ამისთანა დარჩენას: დროთა სიგრძეს არა თუ წარწერეები, თვით ქვებიც გამოუხრავს, გადულევია, და გადუჩეხია. ერთ ქვაზე ცხადად ერჩევა ასო-მთავრული შერეულად მხედრულთან, ხოლო მეორეზე ასო-მთავრულები ძნელადღა ერჩევა. მიუხედავად ამისა ერთ ქვაზე ალმოიკითხება თმზ (თეიმურაზ), ლ-ლ (ლალად) და მეორეზე-მგჲპ... (მოგვიპოვე?), მნაჲ (მონაჲ), რო?

სოფ. კაკის ბაზარში ვნახე ერთი დიდი დაჩუქურთმული ქვა, წაღებული ამავე ადგილებიდგან. ამ ქვის ჩუქურთმები მოგვაგონებენ ამ გვარსავე ნამუშავარს ქართულ ეკკლესიების ჩუქურთმიან ქვების მუშაობას და კარგი იქნება, რომ იგი კაკის საყდრის ეზოში შეინახონ.

ერთის ალიაბათელ ინგილოს სახლში ეხლახანს აღმოჩენილა [3]) სიგელი, ბოძებული ამ ალიაბათელისათვის მეფე ერეკლესაგან, რომელიც მას აზნაურად ნიშნავს.

კაკშივე გავსინჯეთ ხუციშვილების ოჯახში დაცული ძველი წიგნები და საეკკლესიო ნაშთები, რომლების შესახებ მოვილაპარაკებთ შემდეგ.

ესომ

[1]) ჩემთან იყვნენ: კაკის ბლ. მღვდ. იროდ. ოქროპირიძე, ალიბეგლოს მღვდ. დიმ. ჯანაშვილი და მასწავლებელი ბართ. ხუციშვილი

[2]) ეს სამივე ქვა შარშან დაეთვალიერებინათ ჩემ ძმასა და ჩვენ წინამძღოლ თათარს. დღეს ამ ქვათაგან ერთი, რომელზედაც მათი სიტყვის წარწერა უკეთ შენახულიყო, არ აღმოჩნდა.

[3]) ეს სიგელი ხელში ჰქონია კაკის ბლაღოჩინს ოქროპირიძეს და გადუცია კუთვნილებისამებრ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

როგორც დღევანდელის დეპეშიდგან სჩანს, გაზეთი, მკვლელი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კარნოსი, უკვე დაუსჯიათ. გაზეთის დასჯამდე, როდესაც განაჩენი სიკვდილით დასჯისა უკვე გამოცხადებული ჰქონია, შემდეგი წერილი გაუგზავნია თავისის დედისათვის:

,,ძვირფასო დედაო! გწერთ ორს სტრიქონს, რათა შეგატყობინოთ, რომ სიკვდილით დასჯა მაქვს გადაწყვეტილი.

,,რა ფიქრი უნდა გაივლოთ გულში ჩემს შესახებ, ჩემო ძვირფასო დედავ!

,,რასაკვირველია, არც-კი გეცოდინებათ რა იფიქროთ და სხვანი-კი იმას გეტყვიან, რომ შენი შვილი კაცის მკვლელია და ბოროტ-მოქმედიო.

,,მაგრამ თქვენ იცით, რა კეთილი გულიცა მაქვს და რა ალერსიანად და ნაზადაც გეპყრობოდით ოდესღაც.

,,აი დღესაც არ შეცვლილა ჩემი გული. თუ ჩავიდინე ეს საქციელი, მხოლოდ იმიტომ, რომ მომბეზრდა ამ ესოდენ საზიზღარის ქვეყნის ცქერა.

,,ვმადლობ სინიორ ალექსანდროს, რომელიც ჩემს სანახავად ჩამოვიდა და და რომელსაც არ [illegible].

,,ამითი ვათავებ ამ წერილს. ცოტა ხანს შემდეგ შევეცდები კიდევ მოგწეროთ რამე.

,,სალამი ჩემი თქვენ, ჩემს ძმებსა, ჩემს მეგობარს დას და ყველა ბიძაშვილებსა და ნათესავებს

,,ასჯერ გკოცნით თქვენი საყვარელი შვილი

სანტო“.

გაზეთის ცნობით მიჰმართა თურმე წერილით ქ-ნს კარნოს და სთხოვა, მიშუამდგომლოთ, რომ ჩემს შვილს დანაშაული შეუნდონო.

**

თავადი ბისმარკი ამ ჟამად საკვირველად წესიერად სცხოვრობს თურმე. რეიხის კანცლერი 9 საათზედ იღვიძებს, მაშინვე ბანაობს, ბანაობის დროს ექიმის დარიგებისა თანახმად ხელის თვარეში ტანს უზელს. შემდეგ ბანაობისა ბისმარკი საუზმეს შეექცევა, მერე სეირნობს ბაღში $11^3/_4$ ს. $12^1/_2$ საათამდის. სეირნობის დროს თან ახლავს მხოლოდ ორი მისი საყვარელი ძაღლი „ტირასი“ და ,,რებეკა'' ერთხელ თავადმა შეხედა თავისს ძაღლებს და ამოოხვრით სთქვა: ,,დიაღ! ჩემს გარეშემო ყველა მოხუცებაში შედის— ჩემი ძაღლები, ჩემი ცხენები და, ჩემდა საუბედუროდ, ჩემი მეგობარნიც, კეთილი მეუღლეც-კი.'' ჰნახა ბისმარკისას აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც უცნაური სენი სჭირს: თავისუფლად ვერ ამოისუნთქავს და ხშირად სულთქმა ეკვრის; ამას წინად ხანგრძლივი გულის წუხილი მოუვიდა, რომელიც გამოიწვია მოგზაურობის დროს სხვა-და-სხვა უსიამოვნებამ; ამ გულის წუხილმა დიდად შეაწუხა ბისმარკის ოჯახობა; საბედნიეროდ, ეს ავადმყოფობა მშვიდობიანად გათავდა. გრაფინა თან-და-თან უკეთ ხდება, თუმცა ქვეშაგებს არა სცილდება. ბისმარკი უფრო მოხუცდა ამ რამდენიმე წელიწადში: უფრო ნელა დადის, ტანში მოიხარა, თავის ბაღის გორაკებზედ ასვლა ძალიან უჭირდება. სხვაფრივ ბუნებამ დაიფარა დიდებული სახელმწიფო კაცი; თუმცა სახეზედ ნაოჭები უფრო დაეტყო, მაგრამ მისი ცისფერი თვალები, ჭაღარა წარბებ ქვეშ ჩამალული, უწინდებურად გამბედაობით იყურება და სავსე არიან წინანდებურად სიცოცხლითა და შორს-მჭვრეტელობით. როდესაც სეირნობას ათავებს, თავადი მიდის საუზმის საჭმელად. საუზმედ ბისმარკი უფრო ცივს ორაგულს, კიბოს და ცივად გაკეთებულს ფრინველსა სჭამს. საუზმის შემდეგ თავისს საწოლს ოთახში შედის. კარგს დარში, სადილს შემდეგ, ახლდის ეტლით დასეირნობს 3 საათი. წინად ბისმარკი იშვიათად მაინც ეპატიჟებოდა ხოლმე თავისს მეზობლებს და მეგობრებს; წრეულს იძულებული შეიქმნა ამ სიამოვნებაზედაც უარი ეთქვა. პირველს საათზედ თავადი იძინებს; ძილი ეხლა უფრო მშვიდობიანი აქვს, ვიდრე წინად ჰქონდა, როდესაც ბევრის ჯავრისა და ძარღვების აშლილობისა გამო უძილობით იტანჯებოდა. თავის მამულს კარცინოში ბისმარკი დამშვიდებული სცხოვრობს, მით უფრო, რომ კარცინოსა და ბერლინს შუა მიმოსვლა საძნელოა: ოთხჯერ უნდა გადავიდეს ერთი მატარებლიდგან მეორეში და ამას გარდა კარგა დიდი მანძილი ეტლით არის გასავლელი. ამის მიუხედავად მაინც დრო და დრო კარცინოში მოდიან თავადის თაყვანის მცემლები, რომ შორიდგან მაინც ჰნახონ ,,რეიხის'' კანცლერი.

**პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,48}$ | $7_{,48}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_2$ | $149^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $239^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | 225 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $190^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუზი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)



**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან**

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—32 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.) მესამე განყოფილებაში—1 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—3 (10 და 11 წლ. ყმაწვ.) პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 38 ვაკანსიისგან 33 არის დანიშნული გარედან მოსიარულებისათვის და ხუთი (5) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ხუთს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს და ორი (2) ნახევარს ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისთანავე და ნახევარი იანვარში.

გარედგან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულეთ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის-ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულიად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანოს პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს ელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსავლისათანავე და ათ იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 25 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26 და 27 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{94}/_{95}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

(3—მ—2)


Дозволено цензурою Тифлисъ, 5-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.